ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 2

ქ. ქობულეთი 6 იანვარი 2015 წელი.

გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით,"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (მე-3 მუხლი,1-ლი,ს1 ქვეპუნქტი),სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვების,გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ქობულეთის მუნიციპალიტეტისგამგეობლის 2015 წლის 6 იანვრისN01-06/06 ბრძანების შესაბამისად ერთის მხრივ ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება, მისი დირექტორის ია ხალვაშის სახით (შემდგომში შემსყიდველი) (ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებელის გამზირი № 141) და მეორეს მხრივ ი/მ „ თამაზ მურვანიძე" (ს/კ 61004040729 ქობულეთი. ლესელიძის შესახვევი N19), (შემდგომში მომწოდებელი) ვდებთ ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (კოდი 15800000-სხვადასხვა საკვები პროდუქტები) გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების საჭიროებისათვის (-სხვადასხვა საკვები პროდუქტები) შესყიდვაზე,რომლის თანახმად მომწოდებელმა აიღო ვალდებულება შემსყიდველს მიაწოდოს ზემოთაღნიშნული საქონელი 9048 (ცხრაათასორმოცდარვა) ლარად.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მომწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ააიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებში ადგილზე მიტანით შემსყიდველის მიერ მიწოდებული მოთხოვნის შესაბამისად საკვები პროდუქტების (სხვადასხვა საკვები პროდუქტები) მიწოდება.

2.2 საქონლის დასახელება , რაოდენობა, ერთეულის ფასი განისაზღვრება დანართი №2-ის მიხედვით,რომელიც,წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 9048 (ცხრაათასორმოცდარვა) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მომწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს,რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მომწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 საქონელის მიღება ჩაბარებაზე პასუხისმგებელია საბავშვო ბაღების გაერთიანების მნე , რომელიც მომწოდებელთან აფორმებს შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

5.3 მოწოდებული საქონლის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.6 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მომწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელი წუნდების მიზეზის მითითებით.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონლის მიწოდების და შემოწმების ადგილად განისაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ააიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალი ს/ბაღები. (დანართი N3)

6.2 მოწოდება უნდა განხორციელდეს ყოველკვირეულად,საჭიროების შემთხვევაში კვირაში ორჯერ. მხარეებს შორის შეთანხმებული მიწოდების გრაფიკის მიხედვით.

6.3 ადგილზე საქონლის მიღებაზე პასუხისმგებელია კონკრეტული საბავშვო ბაღის მნე, რომელიც ხელმოწერით ადასტურებს მიწოდებული საქონელის შესაბამის სასაქონლო ზედნადებს.

6.4 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. მომწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მომწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს ააიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას , ადგილზე მიტანით, ყოველკვირეულად ან კვირაში ორჯერ დანართი N2 -ის შესაბამის საკვები პროდუქტი; (შემდგომში „საქონელი“),

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს გაერთიანების მნე.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მომწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

14. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

14.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;

14.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"–ს ქობულეთის ფილიალი, ბანკის კოდი LBRTGE22, ა/ა GE64LBO115172300800000, საიდენტიფიკაციო კოდი 446 951 790;

14.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

ააიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების
გაერთიანების დირექტორი ი.ხალვაში

15. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ქობულეთი. ლესელიძის შესახვევი N19

15.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „საქართველოს ბანკი". ბანკის კოდი BAGAGE22 ანგარიშის № GE12BG0000000892500601

15.3 საიდენტიფიკაციო კოდი 61004040729

15.3 „მიმწოდებელი"– ი/მ „ თამაზ მურვანიძე"

ი/მ „ თამაზ მურვანიძე" თ. მურვანიძე

დანართი №2

ფასების ცხრილი

საწარმოს დასახელება **ინდ.მეწარმე თამაზ მურვანიძე**

თანხა **9048** **ცხრაათასორმოცდარვა ლარი**

№	საქონლის დასახელება	საქონლის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	ჩაი შავი	მაღალი ხარისხის	კგ	8,0	8,00	64,00
2	პური	დამზადებული უნდა იყოს უმაღლესი კატეგორიის ხორბლის ფქვილისაგან.	კგ	3850,0	1,20	4620,00
3	შაქარი	მაღალი ხარისხის, თეთრი ფერის	კგ	1240,0	1,45	1798,00
4	ფუნთუშა	ტკბილი გემოს არომატით,უმარლესი კატეგორიის ხორბლის ფქვილისაგან დამზადებული.შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ქიშმიში.წონა უნდა შეადგენდეს 50 გრ	ცალი	6880,0	0,20	1376,00
5	ვერმიშელი	უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისგან დამზადებული.ფერი მოყვითალო.ნესტის და ობის სუნის გარეშე. დაფასოებული 5-10 კგ . ქარხნული წესით შეფუთული. მინიშნებული ვარგისიანობის ვადით და შემადგენლობით.	კგ	170,0	1,70	289,00
6	მაკარონი	უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისგან დამზადებული.ფერი მოყვითალო.ნესტის და ობის სუნის გარეშე. დაფასოებული 5-10 კგ . ქარხნული წესით შეფუთული. მინიშნებული ვარგისიანობის ვადით და შემადგენლობით.	კგ	280,0	1,70	476,00
7	კისელი	ხილის არომატით. უმაღლესი ხარისხის.	კგ	65,0	4,50	292,50
8	მარილი	მაღალი ხარისხის.იოდიზირებული. დაფასოებული 1კგ პაკეტებში.	კგ	230,0	0,50	115,00
9	საფუარი	უმაღლესი ხარისხის. დაფასოებული.შესაბამისი მარკირებით	კგ	2,5	7,00	17,50
						9048,00

ხელმოწერა _____

შენიშვნა: საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ფასს შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საქონლის ერთეულის ფასს

შესყიდვის მოცემულობა არის ზღვრული.რომელიც შეიძლება შემცირდეს ფაქტიურად საბავშვო ბაღებში ბავშვთა გამოცხადების საფუძველზე

პურის მიწოდება უნდა მოხდეს ყოველდღიურად

დანართი N3

მისამართები

№	ბაღების დასახელება	მისამართი
1	N 1 საბავშვო ბაღი	ქობულეთი 9 აპრილის N26
2	N 2 საბავშვო ბაღი	ქობულეთი რუსთაველის 160
3	N 3 საბავშვო ბაღი	ქობულეთი მ.აბაშიძის 6
4	N 4 საბავშვო ბაღი	ქობულეთი რუსთაველის 154
5	N 5 საბავშვო ბაღი	ქობულეთი რუსთაველის მე-2 შესახვევი
6	ქაქუთის ს/ბაღი	სოფ.ქაქუთი
7	საჩინოს ს/ბაღი	სოფ. საჩინო
8	გვარას ს/ბაღი	სოფ.გვარა
9	ლელვას ს/ბაღი	სოფ.ლელვა
10	აჭყვისთავის ს/ბაღი	სოფ.აჭყვისთავი
11	ოჩხამურის ს/ბაღი	დაბა ჩხამური
12	ალამბარის ს/ბაღი	სოფ. ალამბარი
13	ჩაისუბანის ს/ბაღი	სოფ.ჩაისუბანი
14	ციხისძირის ს/ბაღი	სოფ.ციხისძირი
15	ხალას ს/ბაღი	სოფ ხალა
16	ჩაქვის ს/ბღი	დაბა ჩაქვი, მეგენეიმვილის N13
17	კვირიკეს ს/ბაღი	სოფ კვირიკე
18	ქვ.კვირიკეს ს/ბაღი	სოფ. ქვედა კვირიკე

პრეტენდენტის ხელმოწერა ----------